

## ვაჭრობა და ინვესტიციები

### გადანაცვლება ჰორიზონტალური ვაჭრობისკენ




საექსპორტოდ გამზადებული ავტომანქანები  
(ფოტო Toyota Motor Corporation-სგან)

#### შესავალი

მზარდი ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში იაპონია სათანადოდ აფართოებს და აღრმავებს სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებს ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და ევროპის ქვეყნებთან. XX საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიის ვაჭრობაზე დაფუძნებული ეკონომიკური წარმატება განაპირობა ვაჭრობის მრავალმხრივმა ლიბერალიზაციამ და პროგრესმა, რომელსაც თან ახლდა ტარიფებისა და ვაჭრობის მთავარი შეთანხმების (GATT) ამოქმედება და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (WTO) წარმოებული მუშაობა. 1990-იანი წლების ბოლოდან WTO-სთან მოლაპარაკებები განიცდიდა სტაგნაციას, რომელიც ნაწილობრივ განპირობებული იყო გადასაჭრელი საკითხების მრავალფეროვნებით და წევრებს შორის არსებული განსხვავებული ან ხშირად საწინააღმდეგო ინტერესებით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გლობალურ შეთანხმებათა არარსებობამ ბოლო წლებში იაპონიაში მიმართულება

მისცა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (FTA) მოლაპარაკებებს, რომელიც უშუალოდ მათ შიდა საკითხებს ეხებოდა.

## ვაჭრობა



წყარო: ფინანსთა სამინისტროს "იაპონიის სავაჭრო სტატისტიკა"

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, იაპონიის გაკოტრებამ გამოიწვია უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობების ხანგრძლივი დეფიციტი, და ასევე უცხოური ვალუტის ხანგრძლივი ნაკლებობა, მიუხედავად 1952 წელს იაპონიის საერთაშორისო სავალუტო ფონდში (IMF) გაწევრიანებისა და 3 წლის შემდგომ ტარიფებისა და ვაჭრობის მთავარ შეთანხმებაზე ხელის მოწერისა (GATT). 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში მოწინავე

ტექნოლოგიების დანერგვამ და მზარდი საშინაო სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები. ამ პერიოდის განმავლობაში, იაპონიის ვაჭრობა ეფუძნებოდა გადამამუშავებელი საწარმოების, ნედლეულის იმპორტისა და მზა პროდუქტის ექსპორტის ვერტიკალურ მოდელს. 1964 წელს იაპონიამ განაცხადი გააკეთა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქარტიის მეცხრე მუხლთან თავსებადობაზე, რაც გულისხმობდა ყველანაირი შეზღუდვების მოხსნას უცხოურ ვალუტაზე, რამაც წაახალისა შემდგომი მოდერნიზაცია და ზრდა. 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული იაპონიის სავაჭრო ბალანსი გახდა პროფიციტული, თუმცა 1973-79 წლებში არსებული ნავთობის კრიზისის გამო ბალანსი დეფიციტს დაუბრუნდა. 1980-იან წლებში იაპონიის ვაჭრობა სწრაფად გადავიდა ჰორიზონტალურ მოდელზე, რაც ორივეს, წარმოებული საქონლის იმპორტსაც და ექსპორტსაც გულისხმობდა.

1990-იანი წლებიდან მსოფლიო ვაჭრობის აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან იმპორტ-ექსპორტის წილი მნიშვნელოვანწილად გაიზარდა, ასევე გაიზარდა იაპონიის დამოკიდებულება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან, მაგალითად, ჩინეთთან ვაჭრობაზე.

XXI საუკუნის დასაწყისიდან გადატვირთული ამერიკული და სიცოცხლისუნარიანი ჩინური ეკონომიკის ფონზე ექსპორტ-იმპორტი მდგრადად ვითარდებოდა, თუმცა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ლემანის ბირჟას მოჰყვა 2008 წლის შემოდგომაზე, გამოიწვია იაპონური ექსპორტის შემცირება. გარდა ამისა, მოიმატა ნავთობისა და სხვა

იმპორტის ფასმა, რამაც იაპონიის პირველი სავაჭრო დეფიციტი გამოიწვია ბოლო 28 წლის განმავლობაში.

## ექსპორტი

1950-იანი წლებიდან შეიცვალა ექსპორტის შემადგენლობა და ტექსტილიდან და მსუბუქი მრეწველობის პროდუქტიდან მძიმე მრეწველობის საქონელზე გადავიდა. 1970-იან წლებიდან



UNIQLO ფართოვდება საზღვარგარეთაც (UNIQLO-ს მაღაზია პარიზში)

სამწერველო ნედლეულის ექსპორტის წილი, როგორცაა ქიმიკატები და ფოლადი, შემცირდა, ხოლო საგრძნობლად გაიზარდა მანქანა-დანადგარებისა და ელექტრო საქონლის იმპორტი, რადგანაც აქცენტი გაკეთდა დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციაზე. 1980-იანიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე ტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი - როგორცაა კომპიუტერები, ნახევრადგამტარები, სამომხმარებლო ელექტრო ტექნიკა, ჩარხები, ფაქსიმილეს აპარატები, ავტომანქანები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები - მნიშვნელოვნად გაიზარდა. ნაწილობრივ იაპონური კომპანიების მიერ საზღვარგარეთ საწარმოების გახსნის გამო ექსპორტის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად შემცირდა 1990-იანი

წლების შუა პერიოდიდან. სავაჭრო უთანხმოებამ გამოიწვია საავტომობილო მწარმოებლების და სხვა კომპანიების მიერ ქარხნების აშენება აშშ-სა და ევროპაში, ხოლო იენის გაძვირების ფონზე კონკურენტუნარიანი ფასის შენარჩუნებისთვის, ბევრმა კომპანიამ საკუთარი ბიზნესის მუშახელზე ორიენტირებული და ტექნიკურად ნაკლებად რთული წარმოების ნაწილი ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში გადაიტანა. ჩინეთში იაპონური საწარმოების არსებობამ მნიშვნელოვანწილად გაზარდა აღჭურვილობის, კომპონენტებისა და ნაწილების ექსპორტი ამ ქვეყანაში.

## იმპორტი

ომისშემდგომ პერიოდში იმპორტის ძირითადი საგანი იყო მატყლი, რომელიც გამოიყენებოდა ქსოვილების საწარმოებლად. 1960-70-იან წლებში იმპორტის ძირითადი მასალა გახდა ნავთობპროდუქტები და ლითონის ნედლეული. ნავთობის ორი უდიდესი კრიზისის, როდესაც 1970-იან წლებში ნავთობის ნედლეულის ფასი საგრძნობლად გაიზარდა და 1980-იან წლებში ბუნებრივი საწვავი საშუალოდ იმპორტის 50%-ს შეადგენდა, მომდევნო წლებში

ნავთობპროდუქტების ფასის კლების გამო საწვავის იმპორტის პროცენტული მაჩვენებელი 15%-დან 20%-მდე გაიზარდა.

წარმოებული პროდუქციის საერთო იმპორტის თანაფარდობა 1970-იანი წლებში 20% იყო, რაც 1980-იან წლებში 50% გახდა, ხოლო 1990-იან წლებში 60%-მდე ავიდა, რაც თითქმის უტოლდებოდა დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ეკონომიკას. 1980-იანი წლებიდან იაპონურმა კომპანიებმა ჩინეთსა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში გაზარდეს წარმოებული საქონლის ექსპორტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

უშუალოდ ჩინეთთან ვაჭრობა გაფართოვდა 1990-იანი წლებიდან. იაპონურმა კომპანიებმა გააძლიერეს ჩინური ოპერაციები მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში გაიზარდა შიდა მოთხოვნები და 2001 წელს ის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა. ჩინეთსა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობები კვლავ იზრდება.

კომპიუტერებისა და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქციის იმპორტი გაიზარდა, ხოლო ზოგიერთი სამომხმარებლო ელექტრო პროდუქტის, როგორცაა ტელევიზორი, იმპორტირებული მოდელების გაყიდვებმა გადააჭარბა ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის გაყიდვებს.

## ვაჭრობის სფეროები

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის იმპორტის დიდი წილი საწვავის, საკვები პროდუქტებისა და საწარმოო ნედლეულის იმპორტზე მოდის, ძირითადად მათი ექსპორტი ხდება დამატებითი ღირებულების საქონლის სახით, რასაც იაპონიასთან სავაჭრო ურთიერთობის მქონე მრავალი ქვეყნის ბაზრის დიდი წილი უჭირავს. ეს ხშირად იწვევს სავაჭრო უთანხმოებას, რომელიც 1950-იანი წლებიდან მოყოლებული განმეორებად სახეს იღებს.

1980-იანი წლების დასაწყისამდე უთანხმოება ხშირად ეხებოდა მზარდი იაპონური ექსპორტის კონტროლს დემპინგის, ქვეყნის პროდუქციის სხვა ქვეყანაში შიდა ფასზე ნაკლებად გაყიდვის, ბრალდებით. აშშ-ს უკმაყოფილებამ იაპონია აიძულა ამერიკისგან თავსმობხვეული შეზღუდვები დაეწესებინა ბამბის ნაწარმზე (1957), ფოლადზე (1969), შალისა და სინთეტიკის ნაწარმზე (1972), ფერად ტელევიზორებზე (1977), ავტომანქანებზე (1981). იაპონია ასევე დაეთანხმა ამერიკას შეემცირებინა ფოლადის ექსპორტი ევროპაში 1972 წელს.

მეორეს მხრივ, 1980-იანი წლებიდან სავაჭრო უთანხმოების არსი, კონკრეტულად კი აშშ-სთან, ხშირად გულისხმობდა მცდელობას გაზრდილიყო ექსპორტი იაპონიაში, უცხოური კომპანიებისთვის იაპონურ ბაზარზე უფრო მეტი წვდომის მოსაპოვებლად და ე. წ. "არასატარიფო ბარიერის" აღმოსაფხვრელად. იმპორტის ლიბერალიზაციისთვის, იაპონიის

მთავრობამ შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ტარიფების ცალმხრივ შემცირებას, იმპორტის შეზღუდვების გაუქმებას, სტანდარტების სასერტიფიკაციო სისტემის რეფორმასა და იმპორტის ხელშეწყობის კამპანიას. სოფლის მეურნეობის იმპორტის ლიბერალიზაცია, პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხი, გულისხმობდა საქონლის ხორცის, ციტრუსის და სხვა საკვები პროდუქციის იმპორტზე შეზღუდვების გაუქმებას ან შემცირებას.

ბაზრის გახსნის ტემპით უკმაყოფილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში მოითხოვა ბაზრის განსაზღვრული წილი ისეთი პროდუქციისათვის, როგორცაა ნახევრადგამტარები, ავტომანქანები და საავტომობილო ნაწილები. ამან გამოიწვია უთანხმოება სხვადასხვა საკითხებზე, რასაც ეწინააღმდეგებოდა იაპონია. 1990-იანი წლებში სავაჭრო უთანხმოების აღმოფხვრის მცდელობებმა გადაინაცვლა საერთაშორისო არენაზე, როგორცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, სადაც მრავალი ქვეყანა ჩართული მოლაპარაკებებში. ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური საკითხები იაპონიასა და აშშ-ს შორის კვლავ განიხილებოდა აშშ-იაპონიის მარეგულირებელი რეფორმისა და კონკურენციის პოლიტიკის ინიციატივის ფარგლებში.

იაპონიაში ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტმა პიკს მიაღწია 1981 წელს და აშშ-ს საერთო დეფიციტის 70.8 % შეადგინა, ხოლო შემცირება დაიწყო 1992 წლიდან და განისაზღვრა 10.5%-ით 2007 წელს. აშშ-ს სავაჭრო დეფიციტის შემცირებით, საინვესტიციო ურთიერთობების გაძლიერებითა და სადავო საკითხების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მეურვეობის ქვეშ მოგვარების შედეგად, უთანხმოება იაპონიისა და შეერთებულ შტატების ეკონომიკურ ურთიერთობებში შეცვალა ჰარმონიულმა ურთიერთობებმა და კონსტრუქციულმა დიალოგმა.

## ინვესტიციები

ომისშემდგომ პერიოდში, იაპონურმა ბიზნესმა აქტიურად დაიწყო ჩართვა სხვა ქვეყნებთან საექსპორტო ბიზნესში. 1980-იან წლებში გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი. ამის გამომწვევი მიზეზები იყო: უცხოურ პროდუქციაზე გადასვლა სავაჭრო უთანხმოების გამო, მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის საავტომობილო ბაზრის შემთხვევაში, უცხოურ პროდუქციაზე გადასვლა იენის მაღალი კურსის გამო მოხდა; ელექტრო და ელექტრონული საქონელის წარმოება ნაწილობრივ გადავიდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მაღალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი მუშახელის არსებობის გამო; სამრეწველო ინფრასტრუქტურის გადატანა მოხდა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი, რათა აეთვისებინათ პოტენციური მოთხოვნები. 1980-იან წლებში იაპონიაში ჩადებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი წილი მოდიოდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაზე. 1990-იან წლებში აზიის ხვედრითი წილი გაიზარდა. იაპონიის ფინანსთა სამინისტროსა და იაპონიის ბანკის საერთაშორისო საგადასახადო ბალანსის მონაცემებით, უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა

2008 წელს შეადგინა 13.23 ტრილიონი იენი, რაც 52%-ით მეტია წინა წელს დაფიქსირებულ მონაცემებთან შედარებით და ყველა დროის რეკორდული მაჩვენებელია. გადადგმული ნაბიჯები მიზნად ისახავდა ინვესტიციების წახალისებას ტრანსპორტის, აპარატურის, ხელსაწყოების და სხვა წარმოების დარგებში, რაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

მიუხედავად იაპონური ბიზნესების ნელი ტემპისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, იაპონელები განაგრძობენ მრავალეროვანი საწარმოების შექმნის სახით გლობალიზაციისკენ სწრაფვას.

### საგადასახადო ბალანსი

საგადასახადო ბალანსის საზომად გამოიყენება სასაქონლო სავაჭრო ბალანსი, რომელიც განისაზღვრება ეროვნულ ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობით. 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან იაპონიას მუდმივად ჰქონდა ნამატი, რომელმაც სწრაფი ზრდა დაიწყო 1980-იანი წლებიდან. 1994 წელს ამ ნამატმა მიაღწია უმაღლეს ნიშნულს, რაც შეადგენდა 12.39 ტრილიონ იენს, ვიდრე იმპორტის ზრდამ და სხვა რიგმა ფაქტორებმა არ მოახდინა მისი შემცირება 6.7 ტრილიონ იენამდე 1996 წელს. შედეგად, იაპონიის ეკონომიკურმა სტაგნაციამ გამოიწვია იმპორტის ვარდნა და ამან აშშ დოლარის სიმყარესთან ერთად, ნამატი ისევ 15.99 ტრილიონ იენამდე გაზარდა. მას შემდეგ ნამატი მერყეობდა და 2003 წელს 12.26 ტრილიონ იენზე შეჩერდა.

1996 წელს იაპონიამ გადახედა საგადასახადო ბალანსის გამოთვლის მეთოდს და დაიწყო ოფიციალური სტატისტიკის მხოლოდ იენში (და არა იენსა და აშშ დოლარში) დათვლა. ცვლილება ითვალისწინებდა საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის დაყოფას სასაქონლო და მომსახურების კატეგორიებად და მოკლევადიანი და გრძელვადიანი კაპიტალის საანგარიშო ბალანსის კატეგორიებს შორის განსხვავების მოშლას. ეს ცვლილებები მიუთითებს მომსახურებით ვაჭრობისა და საერთაშორისო კაპიტალის შემოდინების მნიშვნელობის ზრდაზე.

მიმდინარე საანგარიშო ბალანსით, იაპონიას ჰქონდა ქრონიკული დეფიციტი მიმდინარე სატრანსფერო და მომსახურებით ვაჭრობის ბალანსებში. მომსახურებით ვაჭრობის დეფიციტზე გავლენას ახდენს ტრანსპორტის გადასახადი, სალიცენზიო გადასახადი და ტურიზმი (2013 წელს დაახლოებით 14.6 მილიონმა იაპონელმა იმოგზაურა საზღვარგარეთ).

2003 წელს იაპონიის მომსახურებით ვაჭრობის დეფიციტმა საგრძნობლად იკლო, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო საზღვარგარეთ მოგზაურობის შემცირებით მწვავე რესპირატორული დაავადებების გამო და ასევე საზღვარგარეთ მომუშავე საავტომობილო მწარმოებლების პატენტის მოსაკრებელის ზრდით.

დღევანდელ საგადასახადო ბალანსზე გავლენას ასევე ახდენს გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2008 წელს დაიწყო.